სამშაბათი 7 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით [illegible] ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 122 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 122

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ქვრივი ივლიტა გაბრიელის ასული კოსტავასი, ძმისწულები: იაკობ, ანდრიან და დავით პავლეს ძენი კოსტავები, დისწული ნინა დიმიტრის ასული ყორყოლაძისა, და სიძე ნიკოლოზ თეიმურაზის ძე ყორყოლაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრისას, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი ბიძისას

## გიორგი ბეროს ძის კოსტავასას.

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 9 ივლისს, საკუთარ სახლიდან დადიანის ქუჩაზე დილის 9 საათზე, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, წირვის და წესის აგების შემდეგ, დაკრძალვა იქნება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათზე.
ცალკე ბარათებით დაპატიჟება არ იქნება.
3—1—509.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—2 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

სოპოროსთან, რცხილაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

## ერქომაიშვილისა და ამხ.

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა

მლიერ ხელმისაწდომ ფასებში.

10—2 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

გამოვიდა ახალი წიგნი.

## პედაგოგიური კითხვების გარშემო.

(პასუხათ ჩვენ კრიტიკოსებს)

ვ. ჯაფარიძე და ი. ზედგინიძე. 5—5

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

## საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ორშაბათიდან, 6 ივლისიდან, ახალი პროგრამა განსაკუთრებით მოზრდილთათვის.

I

რუსეთის სამხედრო ქრონიკა სკობელევის კომიტეტის მე-16 სერია.

II

## ზნე დაცემული

სამ ნაწილათ. ჩერნოვისა და მიჩურინის მონაწილეობით.

მხიარული სურათი ქმრის შურის მიება მხიარული სურათი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან ნაჩვენები იქნება სურათი: ლუზიტანიის დაღუპვა ანუ მილიარდერის სიკვდილი.

## ქუთაის. მთავრობის ქალთა გიმნაზია

(წყალგაღმა უბანი, მეჩხეთის ქუჩა).

ამით აცხადებს, რომ 1915-16 სამოსწავლო წლისათვის ამ გიმნაზიაში იხსნება **საანბანო** და **უნცროსი** განყოფილებები მოსამზადებელი კლასებისა, ხოლო მერვე დამატებით კლასში, გარდა **რუსული ენის** სპეციალური განყოფილებისა, იქნება აგრეთვე **მათემატიკის** სპეციალური განყოფილებაც.

3—1.

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი**

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

## ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე, უმნიშვნელო შეტაკებები ხდებოდა. მაგარილაგის მთებთან ოსმალოს ჯარი რუსისას თავს დაეცა, მაგრამ აქედან ოსმალონი უკუ აქციეს. ოლთისის გზით რუსის მზვერავი რაზმი შეებრძოლა ოსმალთა მზვერავ რაზმს, ერთი ნაწილი ამოხოცა და ერთი ნაწილიც ტყვეთ წამოიყვანა. მედგარი ბრძოლები გაჩაღდა კოპ-კარმუნჯის რაიონში.

აღმოსავლეთის ასპარეზზე გერმანელებმა დაიკავეს ვინდავისა და ვენტის მარჯვენა ნაპირები და აქედან კიდევ აღმოსავლეთისაკენ წინ მიიწევენ. ქ. სუვალკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა რუსების სანგრების პირველი ხაზი დაიკავეს. მაგრამ აქედან რუსებმა ისინი კონტრ-იერიშით უკან განდევნეს. რუსებმა უკან დაიხიეს მდ. პისადან. ცენტრში, ს. ზმიკის რაიონში, გერმანელებმა წინ წამოიწიეს. აქ მათი წინსვლა რუსებმა შეაჩერეს. ვისლასა და ვეპრჟს შუა ცვლილება არ მომხდარა. ვეპრჟსა და ბუგს შუა დიდი ბრძოლები სწარმოებს მოწინავე რაზმთა შორის ბრძოლა დაიწყო აგრეთვე სოფ. გრაბოვეცთან, გრუბეშოვის სამხრეთით და სოკალის ქვემოდ. ძლიერი სროლაა ზოლ. ლიპასთან. მდ. დნესტრზე ისევ გაცხარებული სროლაა. რუსის ჯარს იერიში მიაქვს ივანი-ჟაჟავასთან და გროდეკ-სინკოვთან.

დასავლეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ფრანგებმა დაიჭირეს გერმანელთა სანგრების ერთი რიგი შატო-კარლეილთან. ფრანგებმა წინ წაიწიეს რეკრონის გზა-ტკეცილზე. გერმანელებმა კვლავ აიღეს ბურენის ტყე.

საფრანგეთში მოხდა შეერთებულ სოციალისტთა კონგრესი. კონგრესმა მოიწონა და დაადასტურა თავისი წარმომადგენლების—მინისტრების—მოქმედება მთავრობის დაწესებულებაში და დაავალა თავის მეთაურებს ისეთივე ენერგიითა და ხალისით განაგრძონ ეროვნული თავდაცვის საქმე, როგორც დღემდის. პარტია მზათ არის შეუპოვრათ და მთელის თავისი ძალ-ღონით განაგრძოს ეროვნული განთავისუფლების საქმე მთავრობასთან პირობის დაუდებლათ.

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

**კავკასიის ასპარეზი.**

**თბილისი.** 3 ივლისი. 1 ივლისის განმავლობაში ზღვის პირის მიმართულებით ოსმალები შეეცადნენ ღამით გაედევნათ რუსების მზვერავები მაგარიდაგის მთიდან, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, დღისით კი უშედეგო სროლა სწარმოებდა. ოლთისის მიმართულებით 1 ივლისს ღამით რუსების მზვერავებმა ოსმალების სადარაჯოებზე იერიში მიიტანეს; ნაწილი დახოცეს, დანარჩენნი ტყვეთ წამოიყვანეს. კოპკარმუნჯის პირზე სასტიკი ბრძოლაა. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** 3 ივლისი. ოფიციალური. რუსების მოწინავე რაზმებთან ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა 2 ივლისს დაიპყრეს მდ. ვინდავისა და ვენტის მარჯვენა ნაპირები და ზოგიერთ ნაწილებში გაინაგრძობდნენ წინსვლას აღმოსავლეთისაკენ. ნემანს იქით მდებარე პირზე გერმანელებმა 2 ივლისს ღამით იერიშები მიიტანეს ქალაქ სუვალკის ჩრდილო - აღმოსავლეთით, სოფ. „გლუბოკაიროვთან“. აქ რუსების სანგრების ნაწილი დაიპყრეს, მაგრამ მალე განდევნილ იქნენ კონტრ-იერიშებით. ნარიოვის პირზე რუსების ჯარი 3 ივლისს ღამით პისასა და ორჟიცას შუა უკან იქნა წაყვანილი მდ. ნარევის მარჯვენა ნაპირას უფრო ხელსაყრელ პოზიციის დასაჭერად. აღნიშნულ ადგილებში გერმანელებს კერძო ხასიათის იერიშები მოჰქონდათ მდ. პისასა და შკვის შუა. კორჟიციდან დასავლეთით გერმანელების დიდ ძალებს იერიში მოაქვთ რუსების წინააღმდეგ სოფლებ პოდოსიე-ცელანოვის პირზე. 2 ივლისს დილით რუსებმა მოიგერიეს ორი სასტიკი იერიში გერმანელებისა აღნიშნულ რაიონის მარჯვენა წვერზე სოფ. პლოხიავასა და წმ. ბრამურას პირზე.

აქ მოწინააღმდეგე დიდათ დაზარალდა. ცენტრში სოფ. ზბიკის რაიონში, გერმანელებმა ცოტათი წინ წაიწიეს, მაგრამ შემდეგ მათი წინსვლა შეჩერებულ იქმნა, მარცხენა წვერზე კი გერმანელები, რომელთაც წინა ღამით უნაყოფოდ მოჰქონდათ იერიშები გრაბოვო-ოპინაგურის პირზე, სანგრებში ჩასაფრდნენ რუსების ჯარის პირიდან სულ 400 ნაბიჯის მანძილზე. ცეხანოვსა და ვიშგოროდს შუა შეტაკებაა მოწინავე რაზმებისა. მდ. ვისლას მარცხენა ნაპირზე პილიციდან ჩრდილოეთით სროლაა. პილიციდან სამხრეთით გერმანელები 2 ივლისს შემოტევას შეეცადნენ რადომისაკენ მიმავალ ორთავე გზატკეცილებით ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან, მაგრამ მოგერებულ იქმნენ რუსების კონტრ-იერიშებით. დანარჩენ რაიონებში შეტაკება უხდებათ მოწინავე რაზმებს შკვას და ვეპრჟს შუა ცვლილება არ მომხდარა. ვეპრჟს და ბუგს შუა, აგრეთვე ბუგის რაიონში კრისტინოპოლის

ქვემოდ გახშირებული მოწინავე რაზმების შეტაკება, სოფ. გრაბოვეცის რაიონში, აგრეთვე გრუბეშოვიდან სამხრეთით და ბუგზე სოკალის ქვემოდ, ბრძოლა გაიმართა, ზოლოტაია ლიპას ქვედა მიმდინარეობაზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა და თოფის სროლა იყო, მის შესართავთან კი რუსებმა მოიგერიეს გერმანელების იერიში, ბრძოლები დნესტრზე გრძელდება. რუსების ჯარს იერიშები მიაქვთ გერმანელების ჯარის ორთავე ჯგუფზე, რომელნიც დნესტრზე გადავიდნენ ივანი-ჟოლტავასთან და გრდეკსინკოვცთან. რუსებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ასეული ტყვე.

შავ ზღვაზე რუსების ნაღმოსნებმა ბრძოლა მოუხდათ ზონგულდაკში ახლად დადგმულ ბატარეებთან. მათ გაანადგურეს ორი გემი და რამდენიმე ქვა-ნახშირით დატვირთული ბარჟა. წყალქვეშა ნავმა „მორჟ"-მა ბოსფორის დასაწყისში დაღუპა დატვირთული გემი; ამავე ნავმა რამდენიმე ხომალდიც დაღუპა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 2 ივლისი. ნაშუადღევის სამი საათის ოფიციალური ცნობა. არრასიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ღამემ წყნარად ჩაიარა. შატოკარლეიილის სამხრეთით ფრანგებმა გერმანელების სანგრების წყება დაიპყრეს, ნევილ-სენტ-ვაასტის მიდამოებში და ლაბირინტში ბრძოლა სახელდახელო ყუმბარებით ხდება. არგონებში ბრძოლა ვითარდება ტყიდან დასავლეთით მდებარე რაიონში. აქ გუშინ ფრანგებმა წინ წაიწიეს სეპრონის გზის ჩრდილოეთით, კონტრ-იერიშების მთელი რიგის შემდეგ გერმანელებმა კვლავ შესძლეს აურენის ტყეში გამაგრება, ამ სექტორის სხვა ნაწილებში ცვლილება არ მომხდარა. ფეანგესა და ლეპრეტის ტყის შუა გერმანელები შეეცადნენ ფრანგების სანგრების მიახლოვებას, მაგრამ ქვეითის ჯარის სროლით შეჩერებულ იქნენ.

**პარიზი.** 2 ივლისი. ოფიციალური ცნობა საღამოს 11 საათისა. დღემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, არგონებში მარია-ტერეზიას რაიონში ბრძოლა ხდებოდა სახელდახელო ყუმბარებით. მოგერიებულ იქნა გერმანელების ორი იერიში ოტბეკომბ-ბურელზე. დანარჩენ პირზე შესამჩნევი არა მომხდარა რა. მხოლოდ საარტილერიო სროლა ხდებოდა არრასიდან ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, კენევიერის სექტორში, მდ. ენის მარჯვენა ნაპირას, ტროიანასთან, მდ. მაასის მარჯვენა ნაპირს კოლონნას სანგრების გარშემო და ვოგეზებში ვისემბახთან.

**ლონდონი** 2 ივლისი. გემი „რომი", ტაინგოკისაკენ მიმავალი გაუფრთხილებლად ააფეთქეს ნაღმით. მეორე ინჟენერი მოკლულია, დანარჩენი მეზღვაურნი გადაარჩინეს.

**რომი.** 2 ივლისი. ზემო კადორეში იტალიელების შეტევა მეთოდიურად გრძელდება. აქ იტალიელები საუცხოვოდ უშენდნენ ავსტრიელების სიმაგრეებს პლაცვიზესა და ლანდრს, ამასთანავე ლანდრიდან აღმოსავლეთით რაუტკოფელების ერთი ბატარეია დაზიანებულია. ქვეითა ჯარის მზვერავებმა წინ წაიწიეს სეკილფის მთამდე და შურგტალის ქედამდე სექტენის ველის შესასვლელთან და მტერს შეეჯახნენ შედეგები იტალიელთათვის ხელ-საყრელია, ფალცარეგოს ოლქში ქვეითა ჯარმა 1 ივლისს ღამით დაიპყრო ფალცარეგის მწვერვალი. ავსტრიელებმა იერიშები მოიტანეს, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ და დიდად დაზარალდნენ.

**დარდანელი.**

**პარიზი.** 2 ივლისი. 29 და 30 ივნისს აღმოსავლეთის საექსპედიციო კორპუსმა და ინგლისის ჯარის მარჯვენა წვერმა იერიში მიიტანეს ოსმალთა პოზიციებზე და რამდენიმე წყება სიმაგრეებისა დაიპყრეს. 29 ივნის დილით მთელ პირზე დაიპყრეს პირველი წყება სანგრებისა— მეორე წყება სანგრებისა დაიპყრეს საღამომდე ზუავების ბრწყინვალე იერიშით. მეორე დღეს მოკავშირეებმა რამდენიმე ალაგას კვლავ წინ წაიწიეს, დაიპყრეს კერევესის ველის დაბლობები და ხელთ იგდეს 200 ტყვე, ინგლისელებმა კი —150. მტრის ზარალი მეტად დიდია. ფლოტი კათგად უწყობს ხელს ჯარის მოქმედებას. იგი უშენდა ზარბაზნებს აჩიბაბას, აზიის სანაპიროზე მდებარეს.

**ლონდონი.** 2 ივლისი. დარდანელში მომქმედ ჯარის უფროსი გენერალი გამილტონი იუწყება: 29 ივნისს დილით ინგლისელთა მარჯვენა წვერმა და მარჯვენა მხრის ცენტრმა იერიშები მიიტანა. სასტიკმა ბრძოლამ მთელს დღეს გასტანა, ჯარმა, რომელშიაც ფრანგების კორპუსიც შედიოდა, აიღო ძლიერ გამაგრებულ სანგრების ორი წყება 200—400 ადლის სიგრძეზე. ოსმალთა ხაზის მარჯვენა სექტორზედაც მიიტანეს იერიშები, პირველი წყება სანგრებისა ადვილად იქნა დაპყრობილი, რადგანაც იერიშს წინ უძღოდა კარგი სროლა, შემდეგ ინგლისელთა ჯარმა ამ სანგრების მეორე წყება დაიპყრო და 80 დაატყვევა. ღამით მოკავშირეთა ჯარმა გაამაგრა 400 ადლის მანძილზე დაპყრობილი მიდამო თავისი აზიელების წინ. 30 ივნისს ღამით მოგერებულ იქნა ორი კონტრ-იერიში ოსმალებისა; მაგრამ გამოირკვა, რომ ინგლისელების მარჯვენა წვერი ძლიერ შეჭრილა წინ და ამის გამო ოსმალება მედგარი იერიშით სახელდახელო ყუმბარების შემწეობით კვლავ დაიბრუნეს ნაწილი სანგრებისა. რადგანაც ეს პოზიცია ძლიერ საჭირო იყო მოკავშირეთათვის, ამიტომ საიერიშოდ გაგზავნილი იყო ბრიგადა საზღვაო დივიზიისა. მათ ფრანგების არტილერიის დახმარებით უკანვე დაიბრუნეს დათმობილი სანგრები. ამავე დროს ფრანგებმა წინ წასწიეს თავისი ჯარის უკიდურესი მარჯვენა წვერი მდ. კერევესდერეს შესართავისაკენ, ეს პოზიცია შენარჩუნებულ იქმნა. 1 ივლისს ღამით ოსმალთა კონტრ იერიშები უშედეგო იყო. მხოლოდ პატარა მანძილი, სულ 300 ადლის სიგრძეზე ჯერ კიდევ უპყრიათ ოსმალებს. ტყვედ წამოყვანილია 422, მათგან 22 ფრანგების მიერ პირველ იერიშის დროს.

**ათინა.** 2 ივლისი. დარდანელში გამწვავებული ბრძოლა გრძელდება, ოსმალებმა დერკე-ტეფეში დიდი ზარალი მოუვიდათ და უწესრიგოთ იხევენ უკან; მათ მოკავშირეებმა დაუთმეს სანგრების სამი წყება.

კრიტიის რაიონში ფრანგების დივიზია განაგრძობს შეტევას და დაპყრობილ პოზიციებს ამაგრებს. ინგლისის ქვეითა ჯარი გალიპოლიდან სამი საათის სავალ მანძილზე იმყოფება. 28 ივნისს სტამბოლში ბულგარეთით 11 ვაგონი ბენზინი მოვა, ჰაეროპლანი და სხვა სამხედრო მასალა მიიტანეს.

**სოლუნი.** 2 ივლისი. მიტილენიდან იუწყებიან 30 ივლისის თარიღით, რომ 200 ოსმალო ჯარის კაცი გალიპოლიდან გამოიქცა და განაცხადეს, რომ ინგლისის-საფრანგეთის ჯარში ჩაეწერებიან. სტამბოლში სახადის გავრცელების ამბავი დამტკიცდა. მისგან გარდაიცვალა სულთანის სიძე ხალილ-ბეგი.

**გერმანია და ამერიკა**

**ვაშინგტონი.** 3 ივლისი. გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამერიკის გემი „ნებრასკანი" 12 მაისს დაღუპა გერმანელების წყალქვეშა ნავმა. ამასთანავე თავდასხმა მოხდა სამწუხარო შემთხვევის გამო. მთავრობა ამის გამო მწუხარებას გამოსთქვამს და წინადადებას იძლევა ზარალი აუნაზღაუროს.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 4 ივლ. ავსტრიის სამმა ჰაეროპლანმა ბარზე გადაიფრინა, რვა ყუმბარა ჩამოაგდო, მაგრამ ნივთიერი ზიანი არ მიუყენებია. ექვსი მოკლულია, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 4 ივლ. დღის ოფიციალური ცნობა. არრასის ჩრდილოეთით მთელი ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო სუშეს ჩრდილოეთით და ნევილსა და როლენკურს შუა. არგონებზე ხელით სასროლ ყუმბარებისა და პეტარდების შემწეობით ბრძოლაა. მარიტერეზის რაიონში და მერისონის ხევთან გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ 263—სიმაღლეზე ბურელის დასავლეთით გერმანელებისგან მოტანილი ორი იერიში მოვიგერიეთ. იზასის მარჯვენა ნაპირზე ეპერმაზე ყუმბარებს უშენენ და სონვოს რაიონში მთელ ღამეს გრძელდებოდა. ლოტარინგიაში გერმანელებმა ჩვენ პოზიციებზე იერიში მოიტანეს პრუას სამხრეთით აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ გაფანტულ იქნენ. ვოგეზებზე გუშინ საღამოს მტერმა ბონდესანტთან დაკარგულ პოზიციაზე იერიში მოიტანა. იერიში შეჩერებულ იქნა არტილერიისა და ტყვიის მფრქვევლების ცეცხლით. ღამის 11 საათზე გერმანელებს უნდოდათ ფიცხელი იერიშის მოტანა ჩვენ პოზიციებზე ტურნთან 1500 ადლის მანძილზე სოფელ ბონომის ჩრდილოეთ-დასავლეთით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

**ლონდონი.** 3 ივლ. ნიგერიის მთავრობამ ახალშენის მინისტრს შეატყობინა, რომ 16 თიბათვეს მოკავშირების ჯარმა ნგუნდეში დიდი ქალაქი და დიდმნიშვნელოვანი ცენტრი კამერუნში დაიჭირა, ჩვენი დანაკლისი 2 მოკლულია და 8 დაჭრილი. დიდი [illegible] მთავრობის წარ[illegible]რაველთა და მუშების შორის სუელსის სამხრეთით ქვანახშირის მადნებში მომხდარ განხეთქილების მოსაწესრიგებლად.

**რომი.** 3 მკათათვე. „ჯიორნალე-დიტალია" იტყობინება: ბარზელაი, რომელიც ურესორტო მინისტრათ ინიშნება, სალანდრასთან ერთათ მთავარ ბინას გაემგზავრა, სადაც ფიცს მიიღებს მეფის თანდასწრებით. ამ მოვლენას გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს. ბარზილაი ტრიესტელია ყოფილი რესპუბლიკანელი და მინისტრათ დანიშვნა ორნაირ ინტერეს წარმოადგენს. ერთის მხრით ეს ტრიესტის განთავისუფლების დაპირებაა და მეორეს მხრით მეფის დროშის ქვეშ ეროვნულ ძალთა შეერთება, ეს დანიშვნა ჩვენ მხარეზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

**სოციალისტების კონგრესი პარიზში.**

**პარიზი.** 2 ივლისი. კონგრესის დახურვის დღეს სოციალისტების პარტია ერთხმად მიემხრო რეზოლიუციას, რომელშიაც გამოთქმულია შეურყეველი რწმენა მოკავშირეთა და რესპუბლიკანურ საფრანგეთის გამარჯვებისა. პარტია აცხადებს, რომ ეროვნულ დაცვის საქმეში იგი განაგრძობს თანამშრომლობას უშენიშვნებოდ, მედგრად და ყოველივე ძალღონით. თავის ქვეყანასთან და მოკავშირეებთან ერთად სოციალისტები განაგრძობენ გმირულ ბელგიის განთავისუფლების საქმეს, მტრის მიერ საფრანგეთის ტერიტორიისა და ელზას ლოტარინგიის აღდგენის საქმეს. ამის მისაღწევად ქვეყნის შინაგან საჭიროა ცხარე მუშაობა. ყველა პარტია მზადაა დაეხმაროს მთავრობას ყველგან, სადაც სისუსტე იქნება გამოჩენილი, იგი განაცხოველებს ხალხის შემომქმედ ენერგიას და ყოველგვარ ცდას, გაამრავლონ სამრეწველო ცენტრების რიცხვი ახალ ქარხნების შექმნით. კონგრესმა მოიწონა პარტიის ხელმძღვანელების მოქმედება ომის დაწყებიდანვე და მისცა მათ რწმუნებულება, განაგრძონ ისეთივე შეურყეველი მედგრობათ ეროვნულ დაცვის საქმე.

# ნუ, ნუ მკითხავ!..

მეკითხები: ნაღველის მგვრელ ხმაზე მარად რისთვის ვმღერი,
ჩემი ლექსთა რითმათ ტბაში რათ ლივლივებს ცრემლთა ჩქერი;
მუდამ, მარად რად ვვალალებ, რისთვის მოვსთქვამ მიწიერი
და ნორჩ თვალთა წამწამთ ტევრში რად კამკამებს ცრემლის მტვერი?..
მაშ, მე რავქნა, როს სამშობლოს გლოვის შავი ძაძა ჰხურავს
და თვის ჭაბუკ, მკერდ-გაპობილ შვილთა სისხლის ზღვაში სცურავს!..
როს ცის ეთერს ლაჟვარდოვანს მთის ღრუბელთა ტალღა ჰბურავს,
ჯოჯოხეთი მშობელ ერის წყევის ჰანგებს ცრემლად სწურავს!..
როს ვვალალებს, მოსთქვამს, ჰკოდებს, კვნესის, ოხრავს ირგვლივ ყველა,
სტირს ტანჯული ჩემი მხარე... სტირს ბუნება... კვნესის ნელა...
მნათობთ მეფე ცეცხლს არ აფრქვევს... ძირს ცვა... და გარს ბნელა.
...და სამშობლო თუ თვის პირმშო შვილთა ტანჯვით აქვითინდა,
და ლაწვებზე ზღის თვალთაგან მონაჩქეფი ცრემლთ ზღვა წმინდა
დეე, მის ცრემლებს ჩემი ცრემლიც შეუერთდეს .. მეც ეს მინდა!..
და სამშობლო ვიდრე მოსთქვამს, ვიდრე ჰკოდებს, ვიდრე სტირის,
შვების ხმაზე ვერ იჟღერებს ჩანგი ტანჯულ-მგოსან მწირის!..
მაშ, ნუ მკითხავ, ჩემო კარგო, რად ვვალალებ, რისთვის ვტირი,
სევდის ცეცხლით გულ დამწვარი, ცხოვრებისგან განაწირი;
ნუ, ნუ მკითხავ: ჩემს ლექსებში რისთვის ისმის სულის წყევა,
მე სამშობლომ შემასწავლა თვით ტანჯვა და ცრემლთა ფრქვევა!..

ს. შროშა. **მ. ანაშვილი.**

# მეისტორიე დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე და მისი ღვაწლი.

(შემდეგი იხილე „სამშობლო" № 111)

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა ტფილისის მაზრის სოფელ ხაშმში 1827 წელსა. ის იყო მესამე ვაჟი სოფლის ღარიბი მღვდლისა, დედა მისი— ნინო იყო ხაშმიდანვე, გლეხის ქორქაშვილის ასული. დიმიტრის ბავშვობაშივე ეტყობოდა დიდი ნიჭი. ანბანი შეასწავლა მამა მისმა. შემდეგ ის მიაბარა იოანე ნათლის მცემლის მონასტერში ერთს ბერს გერასიმეს, რომელიც იმერეთიდამ იყო მოსული. მის ხელმძღვანელობით დიმიტრი მონასტერში კარგად გაიწრთვნა ქართულ წერაკითხვაში. პატარა დიმიტრი სამონასტრო ეკლესიაში გალობდა და წიგნს ჰკითხულობდა. შემდეგ დაამთავრა ტფილისის სასულიერო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია და მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1850 წელს აკადემიაში კურს დამთავრებული დიმიტრი ჩამოვიდა საქართველოში და 1858 წლამდის სხვა და სხვა თანამდებობას ასრულებდა, ზოგჯერ უსასყიდლოდ... ვერც ერთ საქმეს ვერ დაუდვა გული. საქმიდამ საქმეზე გადადიოდა...

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ეტყობოდა დიმიტრი ბაქრაძეს, რომ საისტორიო მოღვაწეობისკენ იწევდა—იმისი გული. მან იმთავითვე ხელი მიჰყო წერილების წერას რუსულს ენაზე საქართველოს ისტორიიდამ: 1851—1860 წლებამდის მრავალი წერილი დასწერა ამ ენაზე. ამ წერილებმა მასზე მიაქციეს მთავრობის ყურადღება. მაშინ ის დრო იყო, როდესაც რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ყოველ ქართველს, რომელიც საქართველოს სიძველეს იკვლევდა და მშობლიურ მწერლობას ემსახურებოდა. 1858 წელს მას ვხედავთ ქუთაისის გუბერნატორთან განსაკუთრებულ მოხელედ, უჯამაგიროდ... მთავრობამ ამ დროს მიანდო სვანეთის სტატისტიკური, არხეოლოგიური და ისტორიული აღწერა. ეს მინდობილობა დიმიტრიმ სამაგალითოდ შეასრულა.

სწორედ სვანეთში ყოფნამ გააღვივა სიყვარული სამშობლო ქვეყნის წარსულის შესწავლისა და იქ საბოლოვოდ იგრძნო, რომ მოწოდებულია ამ წარსულის გამოსაკვლევად, მის შესასწავლად. ამ მის შეგნებას უფრო ფრთები შეესხა მას უკან, რაც 1862 წელს თფილისში გადმოიყვანეს.

მას შეხვდა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების წევრობა, და ამ საზოგადოების საკოლათა საჩვეზიოდ მიიარა თუშეთი, ფშავხევსურეთი, საინგილო, სვანეთი და ყველგან ყურადღებას აქცევდა ძველ ქართულ ისტორიულ ნაშთებს და სწავლობდა მათ. 1890 წლამდის, როდესაც გარდაიცვალა, დიმიტრი ბაქრაძეს ეპყრა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობანი, რომელთაც ერთგულათ ასრულებდა.

მაგრამ ჩვენ დღეს გვაინტერესებს არა ის, რომ მან მიიღო დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ხარისხი, არა მის სამსახურის სხვადასხვაობა, არამედ ის გარემოება, რომ მისთვის სიკვდილამდის სატრფიალო საგანს შეადგენდა საქართველოს წარსულის კვლევა ძიება, რომ ის იყო ჩვენში პირველი ქართველი მეისტორიე— მეცნიერი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

„ის თითქმის მარტოდ მარტო შეეჭიდა მესამოცე წლებში დიდსა და ძნელ საქმეს ჩვენი წარსულის გამორკვევისა და გამოძიებისას და სიკვდილამდის მარტო ზიდა ეს ტვირთვი . მარტომ გადასწმინდა მტვერი ძველ ხელ-ნაწერებს, ეტრატებს, სიგელ-გუჯრებს და მკვდართა ამა მოწამეთა ამოაღებინა, აალაპარაკა მოსათხრობად ძველი ამბებისა" (ილ. ჭავჭავაძე).

საკვირველია ის, რომ დიმიტრი ბაქრაძე სახელმწიფო სამსახურის საქმეებსაც ასრულებდა და ხშირად ღამეებს საისტორიო მასალის კვლევაძიებაში ათენებდა და დაღლილობასაც კი არ გრძნობდა. მას გაამხნევებდა და გააკვირვებდა ის დიადი სიყვარული მშობლიური ისტორიისადმი, რომლითაც ასე განსხვავდებოდა.

აი რას ამბობდა ამ სიყვარულის შესახებ: „ჩვენს ისტორიაში იმდენი კეთილშობილი, მამულისა და ქვეყანის ერთგულებაში გამობრძმედებული პირნი არიან, ისეთი მტკიცე ხასიათისანი, თავდაბალნი, უშურველნი, და უმწიკვლონი რომ მათთვის თვალი ვერ მომიშორებია. მათთან ყოფნა, მათთან საუბარი და მათთან გულის ძგერა მავიწყებს ჩემი ხორცის დაქანცვა—ტკივილს, მცირედ-ღა მაინც გაშორებს დღევანდელ ორპირობითა და ცბიერობით ალსავსე აწმყოს; წარსულის შესწავლით თვალთ წინ გვიყენებს იმ სულით აღფრთოვანებულ გმირებს, რომელთაც ხალხის ბედი და უბედობას თვის მხარ ბეჭით უტარებიათ".

დიმიტრი ბაქრაძე, ისტორიული კვლევის ესდენ მოყვარული, ეცნობოდა საუკეთესო მეისტორიეთა ნაწერებს და საისტორიო მასალის კვლევა-ძიების მეთოდებს...

ამ საქმეს თავს არ ანებებდა თვით სიკვდილამდის. როდესაც პროფესორი კანდაკოვი 1889 წელში იკვლევდა ჩვენს სიძველეებს, მას თან დაჰყვებოდა დიმიტრი ბაქრაძე. ჩვენი ისტორიკოსი გულახდით ეუბნებოდა თავის ნაცნობებს დაახლოვებათ შემდეგს:

„ჩემი თავი მცოდნე მეგონა საარხეოლოგიო და საისტორიო საკითხების გამორკვევაში. მაგრამ კონდაკოვთან მოგზაურობამ და მის ცოდნასთან გაცნობამ დამარწმუნა, რომ ძალიან დიდი ნაკლულევანებანი მქონია".

**ილ. ფერაძე.**

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ გაზეთებიდან.

ინგლისის გაზეთების ცნობით, გერმანიის ქარხნები განსაკუთრებული სისწრაფით ამზადებენ სამხედრო მასალებს. ყველა მუშას, თვით კერძო ქარხნებშიაც კი გამოცხადებული აქვთ: ვინც მუშაობაში არ გამოიჩენს საჭირო ენერგიის გაიგზავნებიან მოწინავე პოზიციებზეო. ყველა ქარხანაში, სადაც სამხედრო მასალებს ამზადებენ, მუშაობა სწარმოებს უქმე დღეებშიაც კი.

— —

გერმანიიდან დაბრუნებული პოლონელი ტყვე მუშები იუწყებიან, რომ გვალვის გამო ცუდს მოსავალ ელიან გერმანიაში. ამბობენ, რომ ტყვე რუსის ჯარის კაცთა შორის ძრიელ გახშირდა გაქცევის სურვილი. რადგან ფიქრობენ, ხანგრძლივი ტყვეობა მათ შიმშილით სიკვდილს უქადისო.

— —

„დეილ-ტელ“-ის ცნობით, ტიროლში, კარანტიასა და იულიის ალპებში მოგროვებულია ერთი მილიონი ავსტრო—გერმანელი ჯარის კაცი.

— —

ფოსტა ტელეგრამის და რკინის გზის მიმოსვლა ავსტრია გერმანიასა და შვეიცარიის შუა 16 ივნისიდან შესწყვეტილია.

### ებრაელები კავკასიის კურორტებზე.

მეფის მოადგილემ გენ. ადიუტ. გრაფ ვორონცოვ დაშკოვმა უარჰყო ებრაელების შუამდგომლობა შავი ზღვის ნაპირებზე საგარაკოთ ცხოვრების ნება დართვაზე. კურორტებზე ცხოვრების ნება მიეცემა მხოლოდ კერძო პირებს, რომლებიც ასეთს მოითხოვენ.

„დენ“.

### სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა.

როგორც ხმა გავრცელდა, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დღე გამოცხადებული იქნება ხუთშაბათს, სესია გაიხსნება 17 ივლისს.

### ბელგიაში.

გერმანელებმა გაუგზავნეს კომუნალურ მთავრობას ფლანდრიაში გაფრთხილება, რომ მთელი დარჩენილი საქონელი, გარდა თითო ძროხისა, ფერმაში ჯარისათვის იქნება მოხვეჭილი.

### ავსტრო—გერმანელები ბალკანეთში.

ვენაში იწვევენ გერმანელებისა და ავსტრიელების ელჩებს ბალკანეთის სატახტო ქალაქებისას იმ ზომების შესამუშავებლათ, რომელიც უზრუნველ ყოფს ბალკანეთის კეთილ განწყობილებას ავსტრია გერმანიისადმი.

რ. ა.

— —

შინაგან საქმეთა სამინისტროში გერმანიის ადმინისტრაციამ კითხვა აღძრა რუსულ ენის კურსების მოსაწყობათ იქ, სადაც თავმოყრილია სამხედრო ტყვეების უმრავლესობა და განსაკუთრებით სლავიანები.

### კოპენჰაგენი.

სოფლიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთისა და რუმინიის მეფეები შეხვდებიან ერთმანეთს ათინაში მეფე კონსტანტინესთან თავიანთი გარეშე საქმეთა მინისტრებით. ამ კრებაზე დაესწრება სერბიის წარმომადგენელიც.

— —

სასამართლომ გამოიტანა თავისი განაჩენი ანასტასევის და მისი თანამოაზრეთა საქმის შესახებ. ანასტასევს და სანტოვს მიუსაჯა სასიკვდილოთ დასჯა. ილიევს, როგორც მცირე წლოვანს, 20 წლით ციხეში დაპატიმრება. მანოლევს 10 წ. ანტოვს- 6 წ. და მანოვს 5 წ. ციხეში დაპატიმრება. დობრონოვიჩი გაამართლეს. განსაკუთრებული დადგენილობით სასამართლომ გადაწყვიტა პასუხის გებაში მისცენ ელენე ანასტასიევა, რომელსაც ბრალათ ედება მეფის მკვლელობის განზრახვაში მონაწილეობის მიღება. აგრეთვე დასჯილი იქმნან ის პირნი, რომლებმაც ხელით შეურაცყოფა მიაყენეს ანასტასოვს და ანტოვს, როცა უკანასკნელ დარაჯების ხელში იმყოფებოდნენ. დაიწყოს აგრეთვე გამოძიება გენადიევის წინააღმდეგ, რომელიც აძლევდა ანასტასოვს ფულს, რომლის დანიშნულებაც სასამართლოსათვის უცნობია.

განაჩენი როგორც ბრალდებულებმა, ისე დამსწრე საზოგადოებამ დამშვიდებით მოისმინა.

**სოფია.** გენადიევის წინააღმდეგ დიდი ცვლილებაა მმართველთა მახლობელ წრეში. სტამბულოვისტების გაზეთი „ნოვ ვეკ“ პრინციპიალურ ბრძოლას უცხადებს ოფიციალურ შეფო პარტიისას. ყოფილი მინისტრი ექიმი გატევი მოითხოვს გენადიევის გასამართლებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტი, პეტკოვის მოკვლაში კაზინოს აფეთქების დროს ამის გამო გენადიევმა ცილისწამებისათვის გაზეთი პასუხის გებაში მისცა.

ამერიკელი გაზეთები სასტიკათ კიცხავენ გერმანიის საპასუხო ნოტას. მთავრობის პოზიცია ჯერ გარკვეული არ არის, დიპლომატიური დამოკიდებულება ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ მდგომარეობა ძრიელ კრიტიკულია.

„რ. ვ.“

### გერმანელები ბელგიაში.

გერმანელებიდან დაჭერილი ბრიუსელში ბელგიის იუსტიციის მინისტრის მეუღლე ქ-ნი კარტონ დე-ვიარი პაპის შუამდგომლობით გაათავისუფლეს.

### ბულგარეთი.

**სოფია.** აქ ელიან ბერლინიდან ინგლისის საქმეთა რწმუნებულს. ამ ჩამოსვლასთან დაკავშირებულია ოთხთა შეთანხმების პასუხი ბულგარეთის მთავრობასთან.

### ახალი ჰაეროპლანები.

შვეიცარიის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიაში დაამზადეს ჰაეროპლანები, რომელნიც შესძლებენ ოცოცი კაცის ოთხი ტყვიის მრქვეველისას და ერთი ზარბაზნის, აწევას.

## ინგლისი ომის წინაშე.

უცნაურია ინგლისის მდგომარეობა დღევანდელ ომში!

„მოკავშირეთა“ ზღვადათ მოწოდებული, იგი ვერც ბრძოლის ველზე და ვერც იდეოლოგიურათ მტკიცე ხელმძღვანელ-წინამძღოლის როლს ვერ ასრულებს.

მას „ზღვათა მეფეს“ უწოდებენ და არის კიდევაც, მაგრამ დღევანდელი ომის ბედი ხმელეთზე უნდა გადაწყდეს: ამნაირათ ის მთავარ ასპარეზზე მოწყვეტილია.

ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მოძრაობის, დიდებული ბრძოლის ხელმძღვანელ-წინამძღოლი, როგორიც დღევანდელი მსოფლიო ომია, ყველაფრათ წინასწარ მომზადებული და ერთი გარკვეული გეგმის გამტარებელი უნდა იყოს; ამისთვის კი საჭიროა იდეიურათ ის ერთი მთელი იყოს, ერთი პრინციპით იყოს გამსჭვალული და იდეოლოგიურათაც ერთ მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენდეს.

ამ მხრით ინგლისი „მოკავშირეთა“ შორის ყველაზე სუსტი და გაურკვეველი აღმოჩნდა. სხვაგან—საფრანგეთში, რუსეთში—„საზოგადოება“ მაინც არის ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაერთიანებული; პრესა და მწერლობაც თითქმის ერთ და იმავე იდეოლოგიას ემსახურება, ერთი იდეის მატარებელია.

„ომი ბოლომდის შეერთებული ძალით, ვიდრე გერმანიას საბოლოვოთ არ დავამარცხებთ“. აი საერთო ლოზუნგი „მოკავშირეებისა“. ინგლისიც ამას გაიძახის, მაგრამ სხვაგან რომ ერთი დროშის ქვეშ და ერთი გეგმის თანახმათ ირაზმებიან, აქ აზრთა და პრინციპთა სხვადასხვაობა გამეფდა, აქ ერთი გეგმის თანახმათ მზადება თითქმის შეუძლებელი ხდება.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ინგლისის მთავრობამაც დაამყარა თავის სამფლობელოში „სამღვთო ერთობა“ და „შინაური მორიგება“ მოახდინა, ე. ი. მუშები ჩააჩუმა და კლასობრივი ბრძოლა ჩააქრო.

მაგრამ სამაგიეროთ ინგლისის საზოგადოებაში სხვა გვარმა უთანხმოებამ წამოყო თავი.

საქმე იმაშია, რომ აქ ერთხელ წარმოშობილი იმპერიალისტური იდეა განსაკუთრებულ პირობების გამო ვერ განვითარდა, თავის ლოღიკურ დასკვნამდე თავის დროზე ვერ მივიდა, და აი ახლა, როცა ომმა გერმანიის იმპერიალიზმის ძლიერება აშკარა ჰყო, ხელახლავ გამოცოცხლდა, აღსდგა და ლამის ინგლისის ცხოვრების ხელმძღვანელ პრინციპათ გახდეს.

დღემდი კი როგორც ვიცით, ინგლისის პრინციპი იყო: „lesse fer, lesse passe“ („იმოქმედე ისე, როგორც გინდა“).

დღეს, როცა გერმანიის საფრთხე მთელი თავისი სამხედრო საშიშროებით წარმოსდგა ინგლისის წინაშე, მან აღარ იცის რა ქნას: რომელ პრინციპს ემსახუროს, რომელ გზას დაადგეს იმპერიალისტურს, თუ „ლიბერალურს“, ძველს, თუ ახალს.

აი ასეთმა მდგომარეობამ დღეს ინგლისის მოაზროვნე „საზოგადოება“ ორ დასათ გაჰყო და მათ შორის სასტიკი იდეიური ბრძოლა გააჩაღა. ამნაირათ ინგლისში ორი მოპირდაპირე პრინციპი იბრძვის და რომელი მათგანი გაიმარჯვებს ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის.

ამ ახლათ წარმოშობილ დასებს „კონსკრიპციონისტები და ანტიკანსკრიპციონისტები“ ჰქვია, ე. ი. იმპერიალისტები და ანტიიმპერიალისტები.

როგორც იმპერიალისტები ისე ანტიიმპერიალისტებიც ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთი სურვილით არიან გატაცებული: სახელდობრ გერმანიის დამარცხებით. ორივეს ომის ბოლომდე მიყვანის აზრი ასულდგმულებს, მაშასადამე ორივე კაპიტალისტური სულის კვეთებით არის გაჟღენთილი და ორივე ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენს.

მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია: საერთო მიზნის მიღწევა თვითეულ მათგანს განსაკუთრებული გეგმით და საშუალებით სწამს: თითოეულ მათგანს საკუთარი სისტემა, საკუთარი პრინციპი აქვს წამოყენებული იმპერიალისტები („კონსკრიპციონისტები“) ამბობენ, რომ მიზანს ინგლისი მიაღწევს მხოლოთ იმ შემთხვევაში, **თუ „იძულებითი ნაციონალურ სამსახურს“ დროშზე შემოიღებს.**

ხოლო მეორენი-ანტიიმპერიალისტები ამტკიცებენ, რომ ინგლისს მხოლოთ „მოქალაქეთა ინდივიდუალური თავისუფალი ინიციატივა“ იხსნისო.

როგორც ხედავთ აქ კითხვა ასეა დაყენებული: ვის უნდა ეკუთნოდეს ინიციატივა და ხელმძღვანელობა: პიროვნებას, თუ სახელმწიფოებრივ კოლექტივს?—იმპერიალისტები კოლექტივს აკუთვნებს, ლიბერალები კი პიროვნებას.

„მართალია იძულებით პრინციპი, ამბობენ ინგლისელი იმპერიალისტები, ინგლისის ხალხის ზნე-ჩვეულებას სრულიათ ეწინააღმდეგება, მაგრამ ახლა ჩვენ ისეთი საშინელი განსაცდელი გვადგია კარს, რომ **უნდა ძალლონე მოვიკრიბოთ და ახალი ნაბიჯი გადავდგათ**“-ო.

რაში მდგომარეობს ეს „ახალი ნაბიჯი“? ინგლისური იმპერიალიზმის წარმომადგენელთა სიტყვით—„მინისტრების გამოცვლა კი არ გაგვამარჯვებიებს ჩვენ, ამბობს გულახდილათ ლორდ მილნერი, არამედ მთელი მეთოდის შეცვლა; როგორც კაჟიანი თოფებით შეარაღებული ჯარი ვერას გახდება ვინტოვკებით შეიარაღებულ არმიის წინააღმდეგ სწორეთ ასევე იმ ქვეყანას, რომელსაც მხოლოთ ნებაყოფილობით ჯარი ჰყავს, არ ძალუძს დაამარცხოს ის სახელმწიფო, რომელიც „იძულებითი ნაციონალურ სამსახურის“ პრინციპს ემყარება“. ამას ამბობს ისეთი კაცი, რომელმაც ინგლისს დიდი სამსახური გაუწია ომის დასაწყისში და რომელიც დიდ სახელმწიფო მოღვაწეთ ითვლება.

მილნერიც იმასვე ამბობს, რასაც ერთ დროს ინგლისის მეცნიერი გობსსი ამბობდა: ინიციატივის უფლება მხოლოთ სახელმწიფოს ეკუთვნის და არა ინდივიდუმს. ინდივიდუმი მათი აზრით მხოლოთ ვალდებულია სახელმწიფოს ნებას დაემორჩილოს.

„თუ ამ პრინციპს მივიღებთ, განაგრძობს ლორდ მილნერი, იმ შემთხვევაში დიდ ბრიტანეთის შეძლება მიეცემა 5—6 მილიონი ჯარი შეკრიბოს. ინგლისი ახლა ავტორიტეტულ ხმის გაგონებას საჭიროებს, რომ დაუბრკოლებლივ შეძლოს მან მოქალაქეთა გაგზავნა როგორც ბრძოლის ველზე ისე ქარხნებშიაც“.

დე—ლი.

(დასასრული ხვალ).

## ოსმალეთის მობილიზაცია და გეგმები.

ოსმალეთში გამოცხადდა მობილიზაცია. კანონის ძალით, ჯარში შეეძლოთ გეწვიათ მხოლოდ სომხები, რომელნიც 30 წლისანი იყვნენ, რადგანაც ოსმალეთის სომხები სულ 5—6 წელიწადია, რაც სამხედრო ბეგარას იხდიან. მიუხედავათ ამისა, მთავრობამ ყველა 20 წლ—45 წლ. გაიწვია ომში, ე. ი. გაიწვია ისეთი პირები, რომელნიც სამხედრო სამსახურში სრულებით არ ყოფილან.

ვანის მცხოვრებლებმა იცოდენ, რომ ოსმალეთი რუსეთთან საომრათ ემზადებოდა და ამიტომ არ უნდოდათ ჯარისკაცების მიცემა. იყო ცნობა აგრეთვე, რომ ამავე აზრისანი იყვნენ მუშის, ზეიტუნისა და არზრუმის მცხოვრებლებიც, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ იყო აქ ისეთი საყოველთაო და მტკიცე, როგორც ვანის ვილაიეტში. გარდა ამისა, ვანის მცხოვრებლები უფრო კარგათ იყვნენ შეიარაღებულნი და უფრო დამოუკიდებლათაც გრძნობდენ თავს.

ამგვარად ჩვენ—ამბობს არაბი, ძნელი გამოცანა დაგვიდგა წინ გადასაწყვეტათ. ამდენხანს ჩვენ ვაღელვებდით ხალხს ოსმალეთის წინააღმდეგ, მოვუწოდებდით მათ რევოლუციისათვის, ახლა კი გარემოება ისე შეიცვალა, რომ იძულებული გავხდით სხვაგვარ ტაქტიკას დავდგომოდით—ტაქტიკას მშვიდობიანობისას. იმ პირობებში, როცა ჩვენ დაწვრილებით არ ვიცოდით არც ოსმალეთისა და არც რუსეთის განზრახვანი და გეგმები, უარის თქმა ჯარის მიცემაზე შექმნიდა უნაყოფო ანარქიას. ამიტომ ამბოხების თავიდან ასაშორებლათ და ხალხის დასამშვიდებლათ, მე მუსიკით და სომხის ახალგაზრდათა მრავალ რიცხოვანი ჯგუფით გავემართე ვანის გუბერნატორისაკენ.

— თქვენ გინდათ სალდათები?—აი ესენი.

ამავე დროს ჩვენ მივმართეთ ოსმალეთის მოქალაქეებსაც.

ვანის გუბერნატორთან ტასიმ ბეისთან და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის გავლენიან წევრთან ნაჯიბეისთან საუბრის დროს მე კიდევ მივუთითე რეფორმების მოხდენის საჭიროებაზე ოსმალეთის სომხეთში და გავაფრთხილე თავიდან აეშორებინათ ომი.

ჩვენ ვუთხარით მათ:

— ოსმალეთის გამარჯვება შეუძლებელია. ოსმალეთმა თუნდაც რომ გაიმარჯვოს, დამარცხებული დარჩება, ვინაიდან ოსმალეთის ფინანსიური მდგომარეობა ამას ვერ აიტანს და აუცილებლათ ოსმალეთის გამარჯვებას მოყვება სახელმწიფოს კრახი, რომელიც დამარცხებაზე უფრო საზარალო იქნება ოსმალეთისათვისა მეთქი.

ამაზე გვიპასუხებს:

რუსეთთან ომი, ჩვენი სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. ჩვენ არ შეგვიძლია დავმშვიდდეთ იმ დრომდი, ვიდრე აღმოსავლეთის საზღვარზე არ აღიმართება მტკიცე კედელი. რუსეთის მოსაზღვრეობა ... არსებობისათვის სამუდამო ... ადგენს, და არა... ... სვენებას არ მოგვცემსო.

ჩვენმა მოსაუბრეებმა მშვენიერათ დაგვისურათეს ფანტასტიური გეგმა საზღვრების გადაკეთების შესახებ:

ოსმალეთი დაიჭერს მთელ კავკასიას უმთავრეს ქედამდე, ვლადიკავკაზამდე. ომის შემდეგ იგი შექმნის ავტონომიურ საქართველოს და ავტონომიურ სამხრეთს, რომლებითაც ოსმალეთი დაშორებული იქნება რუსეთის მოსაზღვრეობიდან. სომხებთათრების მწვავე საკითხს გადასჭრის გაბედული გადასახლებით. ერევნისა და ელისავეტპოლის მუსულმანობას გადაასახლებენ ტიფლისისა და სხვა ვილაიეტებში. ამ ვილაიეტების სომხობა—კი ვანისა და არზრუმის ვილაიეტებში, რომელნიც შეუერთდებიან კავკასიას და შევლენ ავტონომიურ სომხეთში.

გეგმა ცუდი არაა, მაგრამ როგორ გინდათ მისი განხორციელება? ამისათვის უნდა დაიპყრათ კავკასია—მეთქი.

— როგორ გავახორციელებთ ჩვენ ამ გეგმას? სულ უბრალოთ. მათი აზრით, ავტონომიის საკითხი შეადენდა მთელ კავკასიის მცხოვრებლებს. მათ იმედი ქონდათ დაღესტნის ჩერქეზებისაც და ყველაზე უფრო კი გერმანიის გამარჯვებისა.

ჩვენ არა გვწამდა გერმანიის გამარჯვება და ამიტომ ჩვენ გამოვსთქვით ჩვენი შიში იმის შესახებ, რომ გერმანია ჩაითრევს ოსმალეთს ომში, რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოდ გერმანიისთვის და არა ოსმალებისთვის.

ჩემი სიტყვები ტასიმ ბეიმ და ნაჯიბეიმ შეურაცყოფათ მიიღეს:

— როგორ, ჩვენ პოლიტიკური ბალღები ხომ არა ვართ? ვიდრე გერმანია ბესარაბიასა და კრიმს არ დაიკავებს ჩვენ ომს არ გამოვაცხადებთ და გამოვაცხადებთ რა ომს-ერთი კვირის შემდეგ უკვე ტფილის ვიქნებითო.

როგორც ჩანს, მათ იმედი ჰქონდათ ტფილისის აღების, და ამავე დროს მზათ ჰქონდათ სია იმ ადმინისტრატორებისა, რომელნიც დაპყრობილ კავკასიაში იქნებოდენ მოხელეებათ. ჩვენ გავუცხადეთ:

— კარგი. ამ პროგრამის მიხედვით ჩვენ თქვენთან ვიმოქმედებთ, მხოლოდ გვაცნობებთ ახლავე, რომ თქვენ მიზანს ავტონომიურ სომხეთის შექმნა შეადგენს მეთქი.

ჩვენ წინასწარ ვიცოდით მათი პასუხი:

— შემდეგ.

მხოლოდ ახლა სხვა სახით გვითხრეს.

— ამას ჩვენ მოვახდენთ მაშინ, როცა ყარსს ავიღებთ. ადრე კი არაო.

მაშინ ჩვენ ხუმრობით მივმართეთ: წარმოვიდგინოთ, რომ სომხების ინტელიგენციის ნაწილი თქვენ თანაგიგრძნობთ, მასა კი არა. რითი გინდათ თქვენს მხარეს გადმოიბიროთ ის სომხები, რომელიც კავკასიაში ცხოვრობენ მდიდრათა და კულტურულათ? ამაზე მათ მოიშულეს და გვითხრეს:

— სჩანს, თქვენ ჩვენთან მუშაობა არა გსურთო.

მართალია მათ კარგათ იცოდენ, რომ ჩვენ მათ ძლიერ დავშორდით, მაგრამ მაინც გვითხრეს:

— მოგვეცით მოხალისეებიო.

— მოხალისეებს ჩვენ არ მოგცემთ, მხოლოდ დავიცავთ ლოიალობას და ამ სიტყვებით გავშორდით ერთ-მანეთს.

„კავ. სლ“.

## ქართული პრესა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტს პირველად „ახალი კვალი“ გამოეხმაურა.

იგი სწერს:

ვინაიდან ამ მოვლენას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენც არ შეგვიძლია მას სიჩუმით ჩაუაროთ

მაგრამ ჯერჯერობით მსჯავრის გამოტანა, სანამ სასკოლო კომიტეტი ოფიციალურ განმარტებას მოგვცემდეს, ნაადრევათ მიგვაჩნია; მხოლოდ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქართული გიმნაზიის კარები დღემდი დაკეტილია ყველა იმათთვის, ვინც იქ გაბატონებულ უმრავლესობის აზრს არ იზიარებს. ნუ თუ ეხლა იქამდის დაეცენ, რომ საზოგადო საქმეში პირადი ანგარიშებით ხელმძღვანელობენ?

ჩვენც უცდით კომიტეტის განმარტებას. მაგრამ კომიტეტის ოფიციალური განმარტება შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ უკანონობას, რომელიც კომიტეტისადმი რწმუნებულ გიმნაზიაში მოხდა. მაგრამ საქმეს მეორე მხარეც აქვს. ჩვენ ხელში გვაქვს ის ტერორი, რომელიც სურთ გაამეფონ ჩვენში პრესის წინაალმდეგ. ამას კი სასკოლო კომიტეტის ოფიციალური განმარტება არ სჭირია.

არის კიდევ სხვა მხარეც—ეს არის იმ ატმოსფერის ცამოაშკარავება, რომელიც მეფობს ჩვენს გიმნაზიაში. ჩვენ ხელთა გვაქვს სია იმ მასწავლებელთა, რომელთაც იძულებით დაანებეს თავი გიმნაზიას.

თავის დროზედ ჩვენ შეკითხვას წარუდგენთ ამ პირთ: რა იყო მიზეზი მათის იძულებით თავდანებებისა.

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ გუშინ, ჩვენი გაზეთის ხელმძღვანელი ბ. ია ეკალაძე გაემგზავრა ქართლში, (თავის სოფელში, სადაც რამდენიმე დღეს დარჩება.

✦ ამ ჟამათ ბ. გუბერნატორი ლ. ნ. პოტულოვი და საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ფედოროვი სამეგრელოში იმყოფებიან, წყალდიდობით დაზარალებულთა დასათვალიერებლათ.

✦ ბ. გუბერნატორმა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის გამგეობას აღუთქვა, რომ იგი შუამდგომლობას აღძრავს სამიწათმოქმედო დეპარტამენტის წინაშე, რათა დეპარტამენტმა გადასდვას თანხა, რომლითაც გამაგრებული იქნება მდ. რიონის ნაპირები და ამით წყალდიდობის დროს უზრუნველყოფილი იქნეს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი.

**დამშეულების დახმარება.** თანახმათ ქუთ. გუბერნატ. შუამდგომლობისა, მეფის მოადგილემ ნება დართო ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე საკრებულოს მიეცეს საიმპერიო - სასურსათო თანხიდან სესხად—სიმინდი ს. გორის (ქუთ. მაზ.) საზოგადოების 116 კომლს აზნაურს. სიმინდი მათ ამ დღეებში დაურიგდებათ. მეფის მოადგილემ მოქალაქეებისა და სასულიერო წოდების დახმარებაზე უარი განაცხადა.

✦ სასწავლებელში. 1915—1916 სასწავლო წლიდან, ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიაში იხსნება საანბანო და უნცროსი განყოფილებები მოსამზადებელი კლასისა, ხოლო მერვე დამატებით კლასში გარდა რუსული ენის სპეციალური განყოფილებისა იქნება აგრეთვე მათემატიკის სპეციალური განყოფილებაც.

✦ მოწაფეების დახმარება. ამ დღეებში ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის გამგეობამ გაგზავნა თავის სასწავლებლის უფასო კლასის მოწაფეები ოკრიში, რომ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს ფიზიკურათ დახმარება აღმოუჩინონ.

✦ საცადი მინდორი. ოკრიბაში ამ დღეებში გაემგზავრებიან ქუთაისის გუბერნიის უფროსი აგრონომი და მესამე რაიონის აგრონომი, საცადი მინდორის ამორჩევათ. მინდორი არჩეული უნდა იქნეს რომელიმე სასწავლებლის მახლობლათ, სადაც მყნობას, სხვათა შორის, სკოლის მოწაფეებსაც შეასწავლიან.

✦ **სეირნობა.** კვირას, 5 ივლისს, ქალაქის ბაღში თავის სახსარის გასაძლიერებლათ ქუთ. ქართულ დრამატიულმა საზოგადოებამ გამართა დიდი საჯარო სეირნობა. სამწუხაროთ სეირნობას საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო. შემოსავალი ძლივს 500 მან. უდრის.

✦ **რიონის მსხვერპლი.** ეს სამი დღეა ქ. ქუთაისში მდინარე რიონში ყოველდღე იხრჩობა ხან ერთი ხან მეტი კაცი. შაბათს მდინარემ იმსხვერპლა ჯარის კაცი ჰანტურიშვილი. ამავე დღეს წყალმა მოიტაცა ბურჯანაძის პატარა ბავში ცხენით. წყალმა ცხენი დაახრჩო. ბავში კი ბორანის ქვემოთ გადაარჩინეს. კვირას, 5 ივლისს, წყალმა ჯაჭვის ხიდთან ბანაობის დროს დაახრჩო ლავრენტი ნიკოლოზის ძე მაჭარაძე—ბავში. გუშინ, 6 ივლისს, წითელი ხიდიდან გადავარდა და დაიხრჩო ახალ გაზდა ყმაწვილი—სოხაძე. მაჭარაძის გვამი ჯერაც არ უნახავთ. თუ დროით ზომები არ იქნა მიღებული და რიონის ნაპირები არააკავეს, მდინარე კიდევ ბევრს იმსხვერპლებს.

✦ **ლექცია.** კვირას, 5 ივლისს, დღის 12 საათზე ქალაქის თეატრში სამ. ფირცხალავამ წაიკითხა ლექცია „სამამულიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“. ლექცია შინაარსიანი გამოდგა. სამწუხაროთ ლექციას მხოლოდ ინტელიგენცია დაესწრო. ლექციას დაესწრენ ქუთაისში მყოფი თითქმის ყველა ქართველი მამულიშვილი.

✦ **თეატრი და ხელოვნება.** შაბათს 4, ივლისს, ქალაქის თეატრში ვ. ბალანჩივაძემ გამართა მხიარული საღამო.

ამავე დღეს არქიელის გორაზე ვითომც აპარლების სასარგებლოთ საღამო მოაწყო რამდენიმე ახალგაზდამ, რადგანაც აპარლების სასარგებლოთ იყო, საღამომ ბევრი მიიზიდა. როგორც შევიტყვეთ, საღამოს შემოსავალი კერძო პირებს წაუღიათ ასეთი საქციელი მართლა რომ დასაგმობია.

✦ **შეტაკება.** როგორც სოფ. ვანიდან (ქუთაისის მაზრა) გვწერენ, 5 ივლის იქ შეტაკება მოსვლიათ ყაჩაღებსა და პოლიციელებს. სროლა ორივე მხრიდან ატეხილა. მოუკლავთ 2 ყაჩაღი და ერთი პოლიციელი ზავარიანი. ყაჩაღების ვინაობა გამოურკვეველია. პოლიციელის გვამი ქუთაისში გუშინ ჩამოიტანეს.

**დანიშვნა.** სოხუმის ოლქის მეურნეობის უფროს ინსტრუქტორათ დაინიშნა ალექსანდრე იობიძე,—თანამშრომელი გაზ. „სასოფლო-გაზეთისა“.

**სამეურნეო სასწავლებლის** მასწავლებელი გ. ქიქოძე გაემგზავრა ქ. ზუგდიდში აბრეშუმის პარკის გაყიდვის საქმის მოსაწესრიგებლათ.

# წყალდიდობა.

**აბედათი** (სენაკის მაზრა). არ გვაკმარა მუხთალმა ბედმა წრევანდელი შიმშილი, ჩამოუთვლელი ტანჯვამწუხარება და ისედაც ილაჯ-გაწყვეტილ ხალხს, თავს დაატყდა ახალი უბედურება, რომელიც მომავლისათვის შიმშილს გვიქადის. ამწვანებული ყანები, დამწიფებული ხორბალი სხვა და სხვა ხილი და ყურძენი დიდს იმედს აძლევდა გაძვალ-ტყავებულ ხალხს, რომ მოპავლისთვის მაინც თავი დაეხწია აუტანელი შიმშილისაგან, მაგრამ ბუნებამ უცფათ ფერი იცვალა. დადგა 23 ივნისი და დაიწყო კოკის პირული წვიმა. 24 ივნისს საშინელი სეტყვა მოვიდა, რომელმაც მთლათ გააფუჭა ვენახები და დამწიფებული ხორბლის კაკალი. ღამით საშინელი ქარ ბუქი და კოკის პირული წვიმა იყო, რომელიც გაგრძელდა 25 ივნისს საღამოს 5 საათამდი. გარეთ გამოსვლას არავინ ბედავდა, მთელი საზოგადოება შიშ ს ზარმა მოიცვა. საშინელი გრვინვა, ჭექა-ქუხილი, კოკის პირული წვიმა, სახლების ზრიალი, ზარების რეკვა, მოაგონებდა ადამიანს გალიციის უმაგალითო ბრძოლას. 25-ს, საღამოს, წვიმამ ცოტა გადაიღო, ავედით ბჟერის მთაზე და გადავხედეთ არე-მარეს. შორს მოსჩანდა ადიდებული ცხენის წყალი—ახლოს მდინარე აბაშა და ტეხური, რომლებმაც ამ სოფლის სარჩო-საბადებელი მთლად გაანადგურა. იქ, სადაც ამწვანებული ხილები, ხე-ტყეები, შარა-გზები, წისქვილები, ხიდები და დუქნები იყო, ამ წუთს აქ ვერაფერს ვხედავ, გარდა გამმაგებული წყლისა. ყვეითაფერი წყალს მიქონდა თუ რამე გააჩნდა საწყალ ხალხს. ტეხურის პირას ჩამოვედი. ორივე ნაპირები გაჭედილი იყო ხალხით, მათ შორის ერია ერთი მოხუცი, რომელიც ამბობდა, რომ არავის ახსოვს ამდაგვარი ტეხურის მომატებაო. ტეხურის ზვირთებს მიქონდა აუარებელი ხე-ტყე, ურმები, სახლის ფიცრები, წისქვილის ბორბლები, დამხრჩვალი პირუტყვები, შეშები და ვინ ჩამოთვლის კიდევ რა. 26 ივნისს ტეხურმა საგრძნობლათ დაიკლო და მაშინ ვნახეთ, რომ ტეხურს ნახევარი ვერსის მანძილზე სიგანით არაფერი დაუტოვებია. ხალხს კვლავ უნუგეშობა დაეტყო. მათი სარჩო-საბადელი ადიდებულმა მდინარეებმა, სეტყვამ და წვიმამ მთლათ აიკლო. ამ გვარ მდგომარეობაშია ეძაძამე, თამოკონამკოლუ გორდი, კინჩხა, თარგამუ, ნოქალაქევი და სხვა სოფლები, რომლებიც ტეხურის პირზეა. ზემო ჩამოთვლილი სოფლების ზარალი დიდია და გამოურკვეველი. საჭიროა გულ შემატკივარ პირებისაგან ზომების მიღება, რომ მთავრობამ დახმარება გაუწიოს გაჭირვებულ ხალხს.

კაპ.—ან.

# დაბა-სოფელი.

**ბანძა** (სენაკის მაზრა). არ შემიძლია გულის წყრომით არ აღვნიშნო ბანძელ ვაჭრების თავ-გასულობა. ამ პატარა ქალაქს აუარებელი ხალხი აწყდება ახლო-მახლო სოფლებიდან. პარასკეობით და კვირაობით აქ ბაზრობა იციან და, თუ რამე ექნება საწყალ გლეხს გასაყიდი ან საყიდელი მიეშურება ბანძას, რომ დაფაროს თავისი გაჭირვება, მაგრამ ბანძელი ვაჭრები არა თუ ინდობენ ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხს, მაგრამ პირიქით შეუბრალებლათ ტყავს აძრობენ, ლანძღავენ უზრდელი სიტყვებით და ვინ ჩამოთვლის კიდევ რას არ სჩადიან.

დაიწყება თუ არა პარკის გაყიდვა, ვაჭრებს მაშინ აღდგომა უთენდებათ. თუ ვინმე გარეშე ვაჭარი ჩამოვა პარკის საყიდლათ, აქაური ვაჭრები მაშინათვე მოქრთამავენ და ჩქარა გააძუნძულებენ ბანძიდან და შემდეგ, როგორც უნდათ ისე იგდებენ ხელში. საწყალ გლეხს წონისა და ანგარიშის არაფერი გაეგება. მივა ვინმე ნაცნობ ვაჭართან, რომ გაყიდვაში დაეხმაროს თუ ის არ ყიდულობს (და თუ ყიდულობს, ხომ ტყუილათ ჩაიგდებს). ის მაშინათვე წაყვება, რადგან თვითონ სარგებლობს მყიდველი გამყიდველისაგან. მათ კი ერთმანეთში კავშირი აქვთ და ამგვარათ ტყავს აძრობენ ისედაც გაღატაკებულ მუშას. საწყალი ქალები ვინ იცის, რამდენ ენერგიას ხარჯვენ მის მოვლაში, მაგრამ მათი კვნესა, ტკივილი ბანძელ ვაჭრებს ხომ არ ესმისთ.

ნეტავ, როდის მოელება ბოლო ამ ვაჟბატონების გაიძვერობას!..

კაპ.—ან.

# არტელის ამონაკვნესი.

საამური ივნისს საღამო იყო, როდესაც მე ჩვენი სადგურის არტელის მუშების სახლს მიუახლოვდი. მინდოდა მათი (ე. ი. გურულების) ჩვეულებრივი გულის გამამხიარულებელი ხმა გამეგონა, რათა დავმტკბარიყავი ამ საუცხოვო სიმღერის ჰარმონიით. მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, სულ სხვა გოდება ი მინა ჩემმა ყურებმა; იქ ისეთი აურ-ზაური და შეხლა-შემოხლა იყო რომ ალიაქმა უწყის. „კაცო, ყვიროდა ერთი მათგანი ჩვენ ადამიანები ვართ თუ პირუტყვები ასე ულმერთოთ რომ გვეპყრობიანო რა ხალხი ხართ, რატომ არას იტყვით, არა გრცხვენიათ? ჯიბიდან ფულს გვაცლიან და აგერ გულ გრილათ უნდა უყუროთ ყოველივეს? დღე და ღამე ერთი გვაქ და ჩვენი ოფლით ნაშოვნი ისევ სხვის ჯიბეში უნდა ჩავიდეს?

უნდა მოგახსენოთ რომ ჩვენ თვალსაჩინო სადგურ რიონის არტელში თორმეტი კაცი მუშაობდა, რომლებიდანაც ოთხი „ნასილჩიკათ“ იყო არჩეული ისევ ამხანაგებისაგან, დან არჩენები კი მუშების როლს ასრულებდენ. მუშებს 25 მანეთი ეძლეოდა თვეში, ხოლო „ნასილჩიკებს“ თითო თუმანი, იმიტომ, რომ ისინი ჯამაგირს გარდა ორმოლ მანეთს აკეთებენ დღეში. ერდგულათ ეწ ოდენ ყველანი თავიანთ ჰაპანს, რათა თვის ბოლოს ორიოდე გროში აღოთ ხელში და გაეხარებიათ: ზოგს ცოლშვილი, ზოგსაც მშობლები თვე გათავდება თუ არა, ყოველივეს. რაც კი მათი ოფლის ღვრით ეშოვათ, ძმური სიყვარულით უნაწილებდენ ერთმანეთს. მაგრამ დღეს მათი ჩარხი უკუღმა დატრიალებულიყო და სწორეთ იმან გამოიწვია მათი ერთმანეთისადმი განხეთქილება. ბ. სადგურის უფროსის ერთ-ერთ თანაშემწეს ასეთი გეგმა წარუდგენია სადგურის უფროსისათვის: აიღოან მათ საბრალო მუშებისაგან ხუთ-ხუთი მანეთი თითოსაგან თვეში... როდესაც ხუთ-ხუთი მანეთი მათთვის საყოფი არ იყო, სხვა ხრიკს მიმართეს: ამ ვაჟბატონებმა საიდუმლო მოლაპარაკებით სადგურის უფროსთან გააწყვეს საქმე. ურჩიეს მათ, რათა უკანასკნელებს თავიანთი ნაშოვნი ფული არა არტელში უნდა მიეტანათ, არამედ სადგურის უფროსთან. აი, სწორეთ ამ გარემოებამ ჩააგდო დანარჩენი მუშები უკიდურეს გარემოებაში. წარმოიდგინეთ მუშა, რომელიც ოცდახუთ მანეთს ღებულობს თვეში და მერმე „ნასილჩიკი“ რომელიც იმ თუმანს გარდა რომელსაც ის ჯამაგირათ ღებულობს ორ მანეთზე მეტს აკეთებს დღეში; მერმე ამ ფულს ისევ არტელის მუშები იყოფენ თანასწორათ. ამგვარათ არტელს იოდენ, კი შემოსდიოდა ნასილჩიკებიდანირომ თითქმის ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი რჩებოდა თითოეულს ყველა ხარჯს გარეთ, დღეს კი ყოველივე ის ისე იკარგება, რომ საბრალო მუშებს პურის ფასიც არ მოეპოვებათ. ყველა სადგურში მოსპობილია ასეთი წესი, მხოლოდ აქ მისდევენ ამას და, შესაძლებელია, ამან დიდი უთანხმოება გამოიწვიოს

**არწივი.**

# წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ქობულეთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა „სამშობლოს“ სახელებით უღრმეს მადლობას უცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას, რომელმაც კეთილ ინება და ზემო აღნიშნულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს უფასოთ დაუთმო გაზეთი „საქართველო“.

მონდობილობით, წიგნსაცავ სამკითხველოს გამგე მასწ. **მიხაილ ჭანუყვაძე.**

# ღია წერილი.

ბაზრის ზედამხედველს ბ. სამსონ ჩიქოვანს.

ბ. სამსონ!

არა ერთხელ და ორხელ, თქვენი საშუალებით, გაფრთხილების შემდეგ, ჩვენ გთხოვეთ ოქმი შეგვეცვენებიათ, ორპირის ქუჩაზე პურით მოვაჭრე ჯაადაანიასათვის, რომლის უზნეო საქციელმა, ყოველივე ადამიანურ პატიოსნებას გადააჭარბა.

ჩემი სახელი და გვარის ჩაწერის და აგრეთვე მოწმეების ჩაწერის შემდეგ, შეგვპირდი ოქმის შეცვენებას და გადაცემას, სადაც ჯერ არს. მას შემდეგ აგერ 8 თვე გადის, ორი გენერალური ბრძოლა დამთავრდა გალიციაში და თქვენი „შეცვენებულ ოქმის“ შედეგს დამთავრებას ვეღარ ვღირსეთ. იქნებ „თქვენებურად“ კიდეც დამთავრდა?! გთხოვთ, პასუხს 2 დღის განმავლობაში.

პატივის ცემით **კირ. მოსეშვილი.**

**ჩვენი ფოსტა.**

**ბ. აკ. ჩ.ნუკვაძეს.**

თქვენი წერილის დაბეჭდვა რედაქციას მოუხერხებლათ მიაჩნია, რადგანაც პირადათ ჩვენ შეგვეხება. მადლობელი ვართ თანაგრძნობისათვის.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

ქუთაისის ქართული გიმნაზია ამით აცხადებს,
რომ მომავალი სასწავლო წლისათვის
თავისუფალი ვაკანსიები მხოლოდ
I და II განაყოფილებაში იქნება
(მოსამზადებელ კლასებს სამი განყოფილება აქვს და ახლანდელი I განყოფილება უდრის ძველს II განყოფილებას).
სწავლის გადასახადათ მომავალი წლისათვის დადგენილია: მოსამზადებელ კლასებში—ექვსი თუმანი, ხოლო გიმნაზიის კლასებში—რვა თუმანი და ამ გადასახადის ნახევარი წლის ხვედრი ფული სწავლის დაწყებისათანავე უნდა შემოიტანონ.
ხელახალი ეგზამენებისათვის მოსწავლეები 20 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, ხოლო მისაღები ეგზამენებისათვის (1 და 2 განყოფილებაში)—25 აგვისტოს. 3—3

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ
გამოვიდა
„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „კ ა ზ მ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი ა: ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი პ ო ე ზ ი ა“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

აბანო.
ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლოვს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭაპების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.
აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.



სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში